მაჟორში ჩავლილი პასქის ფესტივალი

ალიონი. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, 3 მაისს ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში პასქის რიგით IX ფესტივალმა ისე გაიბრწყინა, უმზეობა არც მონაწილეებს უგრძნიათ და არც ღონისძიებაზე მისულ საზოგადოებას.

ფესტივალზე აღდგომის თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხელნაკეთი კომპოზიციები და პასქები წარმოადგინეს როგორც ინდივიდუალურმა ავტორებმა, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებმა ოზურგეთიდან და ჩოხატაურიდან.

ფესტივალის მონაწილეები დალოცა, **მამა ბასილმა,** რომელიც ამავე დროს ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ღონისძიება მიჰყავდა ფესტივალის ავტორსა და დამფუძნებელს, ჟურნალისტ **ლია კილაძეს.**

მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რომ კომპოზიციური მრავალფეროვნებით წლევანდელი ფესტივალი წინა ფესტივალებს საგრძნობლად აღემატებოდა, რაც, ფესტივალის ორგანიზატორთა აზრით, იმით აიხსნება, რომ ფესტივალს შემოუერთდნენ ახალი მონაწილეები, ძველმა მონაწილეებმა კი უფრო დახვეწეს თავიანთი ნახელავი.

სიურპრიზი შემოგვთავაზა შპს „ვასაძის პურმა“, რომელმაც ფესტივალზე წარმოაგინა გიგანტური, 40-კილოგრამიანი პასქა. რომლის ძირითად ინგრედიენტებად მცხობელებმა გამოიყენეს 17,5 კგ ფქვილი და 40 ცალი კვერცხი. პასქის გარშემოწერილობა, 1,5 მეტრს აღემატებოდა.

ფესტივალზე მრავლად იყო სხვა შედევრებიც, რომლებიც არაფრით ჩამორჩებოდნენ ერთმანეთს. ალბათ, ამიტომ გადაწყვიტეს ფესტივალის ორგანიზატორებმა ყველა მონაწილის ერთნაირად დაჯილდოება და გამარჯვებულად ცნობა. მათ გადაეცათ საჩუქრები და სპეციალური პრიზები.

ფესტივალზე სიტყვით გამოვიდა გურიის მხარის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ფესტივალს და შემდგომი წარმატებები უსურვა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

„პასქის ფესტივალი-2019-ის“ ორგანიზატორის – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით სპეციალური პრიზი ერგო გურიის გუბერნატორსაც.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 18 (10311) 6 მაისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

ტენდერში გამარჯვებული კაცი სახლში გააქციეს

ალიონი. *„ტენდერში გამარჯვებული კაცი სახლში გააქციეს იმის გამო, რომ ვიღაც მიმუნებს ხელთ ჰქონდათ აქედან გაცემული ლიცენზიების თანხმობები.“*

ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ 1 მაისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განაცხადა.

შარაშენიძის გაღიზიანება გამოიწვია კითხვამ – რატომ ჩავარდა თუ არ შედგა ტენდერი (ბოდიშს ვიხდით შეკითხვის ციტირება რომ ვერ შევძელით. საქმე ისაა, რომ უკანა რიგებში მსხდომ ჟურნალისტებამდე გამომსვლელის ხმა ვერ აღწევს, თუ ძალიან რიხიანად არ გამოვიდა).

„რომელი ტენდერი ჩავარდა? იქნებ მიპასუხოს რომელიმე სამსახურმა. ჩავარდნა რასაც ჰქვია და წარუმატებლობა, ამნაირი რამ არ მომხდარა ჩვენს მუნიციპალიტეტში. ერთი, 720-ათასლარიანი, რო-მელშიც კაცმა გაიმარჯვა და ვერარ განახორციელა პროექტი, იყო არასწორად გაცემული ლიცენზიების პრობლემა. ვიფიქრე, იპოდრომს გავამგრებ-მეთქი, მოლიანად წყალს მიჰქონდა ნაპირი, შევადგინეთ პროექტი, 720 ათას ლარზე დაჯდა, გამოვაცხადეთ ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული, რომელიც გააქციეს სახლში, იმის გამო, რომ იქ ვიღაც მიმუნებს აღებული ჰქონდათ აქედან გაცემ-ული ლიცენზიების თანხმობები, მეტი რა იყო? ეგ იყო ერთადერთი. იგიც გადავათამაშეთ და მივიღეთ სუფთა ეფექტი, ქვეყანა სახლები გადავხურეთ და ქვეყანა რაღაცეები გვაკეთეთ... ჩავარდნით არაფერი ჩავარდნილა და, აქედან გამომდინარე, არანაირი პრობლემა ჩვენ არ გვაქვს ბიუჯეტთან მიმართებაში“. – თქვა კონსტანტინე შარაშენიძემ.

საკრებულოს სხდომაზე გაკეთებული შეფასებები და მიღებული გადაწყვეტილებები

ალიონი. 1 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგი 7 საკითხს მოიცავდა. პირველი საკითხი, რა თქმა უნდა, ბიუჯეტის თემაზე გახლდათ. კენჭი ეყარა 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ განკარგულების მიღებას. საკრებულოს წევრების მხრიდან გამოითქვა რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებში აისახა. განკარგულება ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა.

საკრებულომ მოისმინა ანგარიში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის კონსტანტინე შარაშენიძეს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

შემაჯამებელ ანგარიშში მერმა ყურადღება გაამახვილა შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალური მიმართულებით გახორციელებულ ღონისძიებებსა და სხვა პრიორიტეტულ საკითხებზე. კონსტანტინე შარაშენიძემ, საკრებულოს წევრებთან ერთად, უპასუხა იმ მოქალაქეების შეკითხვებს, რომლებიც ონლაინ რეჟიმში თვალს ადევნებდნენ საკრებულოს სხდომას.

თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის მერი 2019 წლის ბიუჯეტსაც შეეხო:

„...ახლახან გახლდით თბილისში. მთავრობა მაგრად გვიდგას გვერდით, 2019 წლის ბიუჯეტში უკვე მობილიზებულია დამატებითი თანხები. დღეიდან მიმდინარეობს ახალი პროექტების განხილვა. შესაბამისად დააკვირდებიან მუნიციპალიტეტებს, რა შესაძლებლობები აქვთ (იგულისხმება თანადაფინანსება). აქედან გამომდინარე მოხდება დაფინასება. უკვე შეთანხმებული ვარ დამატებით დაახლოებით 8 მილიონ ლარზე. დინამიკაში სამინისტროში ყოველდღიურად შედის ინფორმაციები და შესაბამისად 1 იანვრიდან დღემდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ლიდერობს, არის პირველი ნომერი“...

საკრებულომ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

დამტკიცდა შეკვეთილში შიდა გზების მოწყობის პროექტი, რომლის ღირებულება 2 მილიონ 144 ათას 446 ლარს შეადგენს და ის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება 107 ათას 222 ლარია.

სხდომაზე ითქვა, რომ შიდა გზების მოწყობის სამუშაოების პარალელურად, პროექტით გათვალისწინებულია სანაიაღვრე არხების, გაბიონებისა და გარე განათების მოწყობაც.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 1 მაისის სხდომაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საზღვრებში კურორტ გომისმთის მოქცევის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე. როგორც სხდომაზე ინფრასტრუქტურის კომისიის ხელმძღვანელმა ლავრენტი ბიგვავამ განმარტა, „საკრებულოს მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილება კურორტ გომისმთის შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქცევის შესახებ დახარვეზდა, რადგან კურორტი გომის მთა

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საკრებულოს სხდომაზე გაკეთებული შეფასებები და მიღებული გადაწყვეტილებები

არა ადმინისტრაციულ ერთეულის, არამედ მასში შემავალი სოფელ შემოქმედის საზღვრებში უნდა მოექცეს." ამ ეტაპზე გადაწყვეტილება ამ სახით იქნა მიღებული. საკრებულოს წევრების განცხადებით, ეს არის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რადგან კურორტი გომისმთის გეგმაზომიერი განვითარება არის ერთ-ერთი ყველზე გრძელვადიანი პერსპექტიული პროექტი ოზურგეთისათვის.

კენჭი ეყარა ასევე მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილებას. მერიის იურიდიული სამსახურის განმარტებით ცვლილება განპირობებულია ახალი რეგულაციებით პოლიეთილენის პარკებთან დაკავშირებით. ითქვა, რომ მერიის ზედამხედველობის განყოფილება ახალი რეგულაციებთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას უზრუნველყოფს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, მერს თანხობა მიეცა, ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს ლიკვიდაციის თაობაზე. საკრებულომ კლუბ მერცხალის შპს-დ დაფუძნების თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება შარშან მიიღო, ამ ეტაპზე საკითხი ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციას შეეხო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტირება დაინერგა. 1 მაისს კი საკრებულომ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელების წესის დადგენის შესახებ ნორმატიული აქტი, გამოთქმული რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინებით დაამტკიცა.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მექანიკური მეთოდების გაცნობა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურების მონტაჟი აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნული სადგურების მეშვეობით, ტყისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბუფერულ ზონაში მოხდება გამოსული მავნებლის ლოკალიზება და განადგურება, იმისათვის რომ ფაროსანა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე არ გავრცელდეს.

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა შალამბერიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ამირან გირკელიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის წევრები სოფელ მერიაში ადგილობრივებს შეხვდნენ და „მოიზიდე და გაანადგურე“ საშუალებების მექანიკური მეთოდები გააცნეს და დაგეგმილ ღონისძიებებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებამა, სწავლების მიზნით, საკარდამო ტერიტორიაზე ფერომონიანი ბადე დაამონტაჟეს, რომლის მეშვეობითაც ხდება მავნებლის მოზიდვა და შემდეგ პრეპარატის შესხურებით განადგურება.

შეხვედრებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მავნებელთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის აქტიური ჩართულობა.

მარიამ ვასაძე მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის გამარჯვებულია

ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის წარჩინებული მოსწავლე **მარიამ ვასაძე** მოსწავლეთა 73-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის გამარჯვებულია.

ამის შესახებ „ალიონს“ კონფერენციის ორგანიზატორებმა აცნობეს.

მარიამის ნაშრომი „წვიმის წვეთივით საჭირო, ანუ ბაღისუბნელები იგონებენ“ (თემის ხელმძღვანელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იზო სიხარულიძე) კომპეტენტურმა ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია ფოლკლორულ სექციაში.

წითელი ჯვრის საზოგადოებამ ოზურგეთს ჰუმანიტარული ტვირთი გადმოსცა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ჰუმანიტარული ტვირთი გადმოსცა.

აღნიშნული დახმარება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ კომპანია „ელსი ვაიკიკი“-სგან მიიღო. ტანსაცმელი ზრდასრულებისთვის და ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

რწმუნებულმა გურიის მხარეში ზურაბ ნასარაიამ, მერის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე სურგულაძემ და მოადგილემ ირაკლი სირაძემ, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად ტანსაცმელი სოციალურად დაუცველ ადამიანებსა, მრავალშვილიანი ოჯახებს გადასცეს.

„ახალგაზრდები განათლებისთვის და განათლება ახალგაზრდებისათვის“

გასულ პარასკევს, ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პროექტის „ახალგაზრდები განათლებისთვის და განათლება ახალგაზრდებისთვის“ შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა.

პროექტის ავტორმა, ოზურგეთის წმ. ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის XII კლასის მოსწავლემ ნინი ჩხიკვიშვილმა მოწვეულ სტუმრებს პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები პრეზენტაციის სახით წარუდგინა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

მოძრაობა „ახალგაზრდები განათლებისთვის და განათლება ახალგაზრდებისთვის“, ინსპირაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ონოვაციური პროექტი „სასკოლო ლიტერატურა“ გახდა, რომლის პოპულარიზაცია ოზურგეთში საკრებულოს ინიციატივის „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ფარგლებში დაიწყო. პროექტი ოზურგეთის 5 საჯარო და ორ კერძო სკოლის მოსწავლეებს აერთიანებს, რომლის ფარგლებში შეიქმნა სასკოლო ლიტერატურის თემატიკაზე სხვადასხვა კომპოზიციები, ანიმაციური ფილმები, ქორეოგრაფიული ნომრები და სხვა.

განათლება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ჩვენ დავიწყეთ საზოგადოების ცოდნისა და ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელის სახელწოდებაა „თვითმმართველობა განათლებისთვის“ და რომლშიც აქტიურად ჩაერთო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. მოხარული ვარ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ასე წარმატებული თანამშრომლობით, რაც გახდა ინსპირაცია ისეთი მოძრაობის, რომლის შედეგებიც დღეს ვიხილეთ. ეს არის საამაყო, წარმატებას ვუსურვებ პროექტის ავტორსა და მასში ჩართულ ყველა მოსწავლეს“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით დარჩიამ.**

„თვითმმართველობა განათლებისათვის“, როგორც საკრებულოს წარმატებული ინიციატივა აისახა **OGP**-ის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაშიც, სადაც გეგმით გაწერილი ვალდებულებების შესასრულებლად, თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა იქნება უზრუნველყოფილი. „ვიმედოვნებ ჩვენი თანამშრომლობა მოძრაობასთან „ახალგაზრდები განათლებისთვის და განათლება ახალგაზრდებისთვის“ , ამ მიმართულებითაც შედეგბა“ - დასძინა საკრებულოს თავმჯდომარემ.

პროექტის შემაჯამებელ შეხვედრას, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, საკრებულოს წევრებთან ლელა საჯაიასთან და მარიკა ჩხიკვიშვილთან ერთად, საკრებულოს აპარატის უფროსი ნანა თავდუმაძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საგანმანათლებო პროექტის „სასკოლო ლიტერატურის“ იდეის ავტორი გიორგი კილაძე, სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ.

„ქვეყანა მაშინ დადგება ფეხზე, როცა მისი ქვაკუთხედი, ფუნდამენტი არა პარლამენტი ან ვინმე ლიდერი, არამედ ძლიერი მოქალაქეა, რომელსაც მოუსმენენ“

ტოგო ჭელიძეს შუალედურ არჩევნებში მხარს დავით უსუფაშვილი უჭერს

კარგად ნაცნობი პოლიტიკოსი, **დავით უსუფაშვილი** ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატს, ტოგო ჭელიძეს უჭერს მხარს. „დავდივართ საქ-რთველოში და ვეძებთ **ტოგო ჭელიძეს**,„- განაცხადა უსუფაშვილმა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართ-ულობის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება ესწრებოდა.

დავით უსუფაშვილი: გვინდა რომ ტოგოსნაირი ადამიანების პოლიტიკაში გააქტიურებას შევუწყოთ ხელი. როცა გავიგეთ რომ ტოგო ამ პროცესებში შედიოდა, ვკითხეთ რითი დაგეხმაროთ? ზოგჯერ დახმარება ის არის, რომ რაც შეიძლება შორს დადგე ადამიანისგან, რათა არ ავნო. ტოგომ პირიქით გადაწყვიტა.

უსუფაშვილმა იმ ძირითად გამოწვევებზეც ისაუბრა რომლის წინაშეც ჩვენი სახელმწიფო დგას. ყურადღება ქვეყნის განვითარებაში მოქალაქის როლზე გაამახვილა. „ჩვენ გვახსოვს ტერმინი „ამხანაგი“ რომლის უკანაც არაფერი არ იყო. ამხანაგი საჭირო იყო ბუტაფორიულად, ყველაფერს კი ლიდერები წყვეტდნენ. ამხანაგიდან ამომრჩევლამდე ისე გადავხტით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხური, მოქალაქე, გამოვტოვეთ.მოქალაქედ ვერ ვიქეც-ით და ვერ ვაქციეთ ერთმანეთი. საზოგადოება ვერ ვაქციეთ მოქალაქეთა ერთობად. ამხანაგიდან პირდაპირ გადავედით ამომრჩეველში, რომელსაც რაღაცა უნდა მოაწონო, რაღაცით შეაშინო, სხვისი უარესობა დაუმტკიცო. არადა ქვეყანა მაშინ დადგება ფეხზე, როცა მისი ქვაკ-უთხედი, ფუნდამეტი არა პარლამენტი ან ვინმე ლიდერი არამედ ძლიერი მოქალაქეა, რომელსაც მოუსმენენ“-განაცხადა მან.

თავად დეპუტატობის კანდიდატმა ტოგო ჭელიძემ საკუთარ გეგმებზე ისაუბრა რომელლთა განხორციელებასაც საკრებულოში მოხვედ-რის შემთხვევაში გეგმავს.

ტოგო ჭელიძე: მე არ ვამბობ რომ საკრებულოში შევალ და ცაზე ვარსკვლავებს მოვწყვეტ, მაგრამ ვიქნები პირდაპირი მნიშვნელობით ჩემი ამომრჩევლის წარმომადგენელი. მოვუსმენ და მათ ხმას მივიტან იქ, სადაც საჭიროა. ასევე გავაჟღერებ ინიციატივებს, რომლებიც შეიძლება საწინდარი გახდეს ჩვენი საკრებულოს მუშაობის ახალ ფორმატში გადასვლის. ჩემი საკრებულოში მისვლის მიზანია, დავაყენო ახალი ინიციატივები, რომლებსაც შეიძლება მიეცეს გასაქანი. ვფიქრობ რომ ცდად ღირს.

მარი კოკოევი

უფასო პოლიტიკური რეკლამა

შეხვედრა თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებლებთან

პარტია „ქართული ოცნება-დემ-ოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრობის კანდიდატი დავით მდინარაძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობას ხვდება და მათ საარჩევნო პროგრამას აცნობს. დეპუტატობის კანდიდატი უკვე შეხვდა ექადია-ანასეული –სერის საარჩევნო უბნების მოსახლეობას.

დავით მდინარაძე, პარტია „ქართული ოცნების" ოზურგეთის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ ჭანუყვაძე და ორგანიზაციის წევრები მდინარე ბჟუჟის სანაპიროზე თაყაიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს შეხვდნენ.

–ექადია -ანასეული-სერის უბნებში სხვა პროექტებთან ერთად ორი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ერთია ქალაქის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და მეორე ანასეულის დასახლების წყალმომარაგების პროექტი. არის მოსაგვარებელი საკითხებიც. მაგალითად იოსებ იმედაშვილის ქუჩის დროული რეაბილიტაცია –აღნიშნეს გამომსვლელებმა.

–დავით მდინარაძე პირველ რიგში კარგი ექიმი და მოქალაქეა. დარწმუნებული ვარ ასეთივე კარგი დეპუტატი იქნება – თქვა თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებმა ავთანდილ დევიძემ.

–„ საკრებულო ეს იქნება ახალი შესაძლებლობა, „ქართული ოცნების" გუნდთან ერთად ჩემი წვლილი შევიტანო ოზურგეთის განვითარების საქმეში"- აღნიშნა დავით მდინარაძემ.

მანვე ადგილობრივებს სამომავლო გეგმებზე ესაუბრა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მიიღო.

ახალი დასასვენებელი პარკი შეკვეთილთან

ოზურგეთში, შეკვეთილთან, ახალი დასასვენებელი პარკი გაიხსნა. პარკი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით კეთილმოეწყო, ურეკსა და ოზურგეთს შორის, წვერმაღალას გზაზე მდებარეობს.

გასულ წლებში ამ ტერიტორიაზე, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, კიპარისები გაშენდა და დაჭაობებული ტერიტორიაზე დროთა განმავლობაში კორომები ჩამოყალიბდა. ეზო, რომელსაც წვერმაღალასკენ ასასვლელი გზა ორად ყოფდა, გაერთიანდა და მოშორებით ახალი, ბეტონის გზა დაიგო. ამ ტერიტორიაზე გზა მთლიანად იყო დანგრეული, ახლა კი ბეტონის საფარია დაგებული.

წვერმაღალას პარკის ტერიტორიაზე არსებულ ბაღში მდებარე პატარა ტბა გაფართოვდა, გარშემო დაირგო ტირიფები, ბამბუკები და სხვა ხე-მცენარეები. პარკი ორ იარუსიანია. მეორე იარუსზე, დაახლოებით 50 მეტრ სიმაღლეზე, გაკეთდა ასასვლელი კიბეები, საიდანაც დამსვენებელს ზღვის პეიზაჟის ნახვა შეეძლება. პარკის მეორე დონეზე ახალი მანდარინების ბაღი გაშენდა, იქვეა დასასვენებელი სახლი და რამდენიმე ფანჩატური. წვერმაღალას პარკი, რეგიონში ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით



აშენებულ სხვა უნიკალურ პროექტებთან ერთად, ამ ზონას განსაკუთრებულს ხდის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე, დამსვენებლებისთვის.

რაც შეეხება შეკვეთილის დიდ დენდროლოგიურ პარკს, რომელიც თავისი მასშტაბით უნიკალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში, მომავალ წელს გაიხსნება.

იანის ვარუფაკისი: ბანკირები – ბოროტი ჯადოქრები

„ზღაპრებისგან განსხვავებით, სადაც კეთილი ჯადოქრები ყოველ-თვის ამარცხებენ ბოროტებს, ეკონომიკა საშინელი ზღაპარია. აქ ბოროტი ჯადოქრები კეთილებს ამარცხებენ და ეს ბოროტი ჯადოქრები ბანკირები არიან“.

ბერძენმა ინტელექტუალმა, თანამედროვეების გამორჩეულმა ეკონომისტმა, საბერძნეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრმა, თავის დროზე ევროკავშირის ტროიკის რისხვამ, იანის ვარუფაკისმა 2018 წელს ახალი წიგნი გამოსცა შემდეგი სათაურით – “საუბრები ეკონომიკაზე ჩემს გოგ-ონასთან”, სადაც ავტორი ხსნის კაპიტალიზმის თანმდევი სხვადასხვა ეკონომიკური საკითხების არსს. აღნიშნული წიგნის გამოსვლას უამრავი პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა.

გადავწყვიტეთ ზემოთხესენებული წიგნიდან მცირე მონაკვეთის თარგმნა, სადაც ავტორი თანამედროვე სანკო სისტემის კრიტიკულ ანალიზს გვთავაზობს.

ეკონომიკა საშინელი ზღაპარია. აქ ბოროტი ჯადოქრები კეთილებს ამარცხებენ და ეს ბოროტი ჯადოქრები ბანკირები არიან.

ბანკირი თავის საქმიანობას ფეოდალიზმის ეპოქაში იწყებდა, როგორც მევახშე, ხოლო თანამედროვე საბაზრო საზოგადოებაში ის ყოვლისშემძლე მბრძანებელია.

ბევრს შეკდომით მიაჩნია, რომ ბანკირი არის შუამავალი იმ ადამიანებს შორის, ვისაც ბევრი ფული გაჩნია და იმ ხალხს შორის, რომელთაც ფულის სესხება სურთ. ასე მკდარად ისინი ასევე ფიქრობენ, რომ ბანკირის შემოსავალი პროცენტებში სხვაობის მეშვეობით უყალიბდება, ანუ დანზოგებზე პროცენტი დაბალია კრედიტის პროცენტთან შედარებით და ეს სხვაობა წარმოადგენს ბანკირის შემოსავალს.

რამდენიმე საუკუნის წინ, ეს ნამდვილად ასე იყო. როდესაც საბაზრო საზოგადოებებმა მოწიფულობას მიაღწიეს, ბანკირმა ხელი აიღო აქამდე მის მთავარ ამოცანაზე, რაც მეანაბრეებსა და კრედიტორებს შორის შუამავლობაში გამოიხატებოდა. განვითარებულ საბაზრო საზოგადოებებში ბანკირი რეალურად არსებულ ფასეულობებს კი არ ანაწილებს იმ ხალხს შორის, ვისაც ერთის მხრივ ეს ჭარბი რაოდენობით გააჩნია და მეორეს მხრივ იმ ხალხს შორის, ვინც ამის დეფიციტს განიცდის, არამედ ის მომავლიდან ხაპავს ყველაფერს, რათა აწმყოში გასცეს.

რატომ? იმიტომ რომ საბაზრო საზოგადოების განვითარებისთვის არასაკმარისია არსებული საცვლელი ღირებულება. საჭიროა ბევრად უფრო დიდი სახსრების მოძიება, ამისთვის კი – ფასეულობების მარაგის მოძიება. საიდან შეიძლება მათი აღება? ბანკირებისგან. და საიდან მოიტანენ ამას ბანკირები? მომავლიდან.

ბანკირი ესაა “ხელი”, რომელიც დროით საზღვარს კვეთს, რომელიც მომავლიდან იმ ღირებულებას იტაცებს, რაც ჯერ წარმოებული არაა და მოაქვს ის აწმყოში. ეს ღირებულება მეწარმეს ვალად ეძლევა, რომელიც მთ წარმოებაში აბანდებს და აწარმოებს ფასაულობას, რომლის სანაცვლოდ ბანკირს ვალს უხდის. ბანკირს შეუძლია მომავლიდან მოტაცებული ღირებულების დაბრუნება ისევ მომავალში. ამიტომაც მე ბანკირს დროებს შორის შუამავალს ვუწოდებ. თითქოს მან ჰერბერტ უელსის ერთ-ერთი დროის მანქანა მოიპარა და მისი მეშვეობით მოგზაურობს და ფულს შოულობს – მომავლის მეწარმეებს ეხმარება სესხი აწმყოს მეწარმეებს მისცენ. ის იტოვებს პროცენტს იქიდან, რასაც მომავლში მიიღებს და რაც ჭნის ვალს აწმყოში. ეს არის გარიგება, რომელიც დროში გაჭიმული ეკონომიკური პროცესების წონასწორობას უჭერს მხარს

რატომ ვუწოდე მე ბანკირებს ბოროტი ჯადოქრები? იმიტომ, რომ ჩვენ ვაწყდებით ისეთ პარადოქსს, რომელიც ეკონომიკის მთავარ პრობლემად გარდაიქმნება.

რაც უფრო მეტ წარმატებულ გარიგებას ახორციელებს ბანკირი, მით უფრო ხშირად მიიწევს მისი „ხელი“ მომავლში და მით უფრო მეტ ფასეულობას აცლის მომავალს. ბანკირის შემოსავალი იზრდება და უკვე აწმყო მთლიანად ვალებში ეფლობა მომავლის წინაშე. მაგრამ ბანკირი ვერ ჩერდება, მან ფულით უნდა უზრუნველყოს ახალი გარიგებები, რომელთა რაოდენობა სულ იზრდება და მეტი თანხა მიაქვს მას ბანკში. ეს ფული აწმყოში არაფრით არაა უზრუნველყოფილი. შედეგად ფინანსური კრახი დგება.ქართული ლარი საქართველოში არ იბეჭდება ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, შემადგენლობას თუ სხვა მახასიათებლებს ეროვნული ბანკის საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს. ოდესმე თუ შეგხვედრიათ ინფორმაცია იმის შესახებ, სად იბეჭდება ლარი, რა რაოდენობით და რა უკდება ეს სახელმწიფოს?

ამ საკითხის შესახებ ზუსტი სტატისტიკის მონახვა არც თუ ისე ადვილია.

სხვადასხვა შემთხვევაში ლარის ბანკნოტების დასამზადებლად პარტნიორი საწარმოს შერჩევა ხდება დახურული ტენდერის გზით, სადაც მონაწილეობენ სებ-ის საბჭოს ნუსხით განსაზღვრული ევრობანკნოტების ან მონეტების და მსოფლიოს სხვა წამყვანი განვითარებული ქვეყნების ფულის ნიშნების დამამზადებელი საწარმოები, რომელთაც აქვთ ფულის ნიშნების დამზადების სათანადო გამოცდილება, მყარი ფინანსური მდგომარეობა და დადებითი რეპუტაცია. ამდენად, მათი დამზადება პერიოდულად ხორციელდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებში. საქართველოს მთავრობა მოსახლეობას ამ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას მთავრობა საერთოდ არ აწვდის.

არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 5.5 მლნ ლარი ისარჯება ეროვნული ვალუტის ბეჭდისთვის.

ოფიციალური ინფორმაციით, ეროვნული ვალუტის ფულის ნიშნების დამზადების პერიოდულობა და შესაბამისად, ეროვნული ვალუტის ბეჭდვის ხარჯიც განსხვავებულია, ვინაიდან მათი დამზადება ხორციელდება მიმოქცევის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ცალკეული ნომინალის მარაგის შევსების საჭიროების დადგომისას.

როტშილდების კლანის ერთ-ერთმა დამაარსებელმა მაიერ რაშელ როტშილდილმა თავის დროზე შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

”მომეცით მე კონტროლი ფულის გამოშვებაზე და სულ არ დამინტერესებს ვინ დაწერს კანონებს!

რატომ არის გასაიდუმლოებული იმ ქვეყნების და კომპანიების ჩამონათვალი, სადაც საქართველოს ეროვნული ვალუტა იბეჭდება? საქართველოს მოქალაქეები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ამის შესახებ. იქამდე, სანამ ეს ინფორმაცია სრულად არ გასაჯაროვდება, ყოველთვის იქნება შეთქმულების თეორიების არსებობის რეალური მიზეზები ამ საკითხის გარშემო.

დასკვნები თავად გააკეთეთ

https://politicano01.wordpress.com/…/%E1%83%94%E1%83%99%E1…/

ქართული ფოლკლორის როკვა ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლაში

თემურ მარშანიშვილი

არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლას მე დღეიდან სასწაულებათა სკოლად მოვიხსენიებ. მაქვს საამისო მიზეზი: კვირა არ გავა, აქაურმა მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ისეთი რამ არ გააკეთონ, რასაც სხვა სახელს ვერ დაარქმევ, გარდა სასწაულისა. ისე, სკოლა, რომელიც დიდი ნოდარ დუმბაძის სახელს ატარებს, ამაზე ნაკლები არც უნდა იყოს.

ერთ კვირაზე მეტი გავიდა სარეცენზიო ღონისძიებიდან, რომელიც VI-I კლასის მოსწავლეების, მათი დამრიგებლის, ქალბატონი **იზო სიხარულიძის** მიერ გამართული ღონისძიებიდან და დღემდე შთაბეჭდილ-ებებიდან ვერ გამოვსულვარ. გავიკითხ-გამოვიკითხე და, საბედნიეროდ, ჩემს დღეშია ამ ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოება.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ზეიმი „წუთისოფლის სტუმრები, ანუ ერთიც მათქმიე, ძამია“... ჩემი აზრით, იმ გენეტიკური კოდის ნათელი გამოვლინებაა, რომლის სამშვენისი ქართული მიწა-წყალი, ქართული ჯიშ-ჯილაგი და მისი ადათ-წესია. ჰოდა, არ მიკვირს, რომ ამ ზეიმმა აპოგეას მაინცა და მაინც ხსენებული სკოლის VI-I კლასელებისა და მათი ხელმძღვანელის ხელში მიაღწია. ეს იყო პატარა სცენაზე დიდი ფოლკლორული მარგალიტების ცვენა. ასეთი შედეგი კი მხოლოდ მაშინ დგება, როდესაც მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის დამოკიდებულება ჰარმონიულობის უმაღლეს წერტილშია. „ლექსო, ამოგთქომო“... ამოთქმაცაა და ამოთქმაც, მაგრამ ეს არ გახლდათ უცებ მოვარდნილი მუზის სცენაზე ერთბაშად დაღვრა – ამღერება და აცეკვება. რამდენადაც ვიცი, ქალბატონი იზო ამ ფოლკლორულ მარგალიტებს სამი ათეული წლის განმავლობაში აგროვებდა და ლურჯი მაისის მიწურულს ამ ავლადიდების სამზეოზე გამოტანა თავის მოსწავ-ლეებს მიანდო.

თუ როგორ გაართვეს თავი ამ მისიას პირმშვენიერმა გოგონებმა და რაინდული იერის ვაჟებმა, ამის შესახებ ჩემამდე და ჩემზე უკეთ თქვეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ,** ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა **ავთანდილ სურგულაძემ,** საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **როზა გოგუაძემ**

კონსტანტინე შარაშენიძე: *„ვამაყობ, რომ ამ სკოლაში ვსწავლობდი, მეორესკოლელობა დიდ რაღაცას ნიშნავდა და ნიშნავს, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩემს წარმატებებს, უპირველესად, სწორედ მეორე სკოლას ვუმადლი. რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, ამ ბავშვებმა თავისებურად დაამტკიცეს, რომ ოზურგეთი ფოლკლორის ქალაქია. შესანიშნავები იყვნენ, ამიტომ, მე, როგორც ქალაქის მერი, ვიღებ პასუხისმგებლობას ფინანსურად უზრუნველვყო ამ ბავშვების ბათუმში ექსკურსია.“*

ავთანდილ სურგულაძე: *„მადლობა უნდა ვუთხრა ღონისძიების ორგანიზატორებსა და ამ უნიჭიერეს ბავშვებს ქართული ფოლკლორის ასე შთამბეჭდავად და ორიგინალურად წარმოჩენისათვის. ჩვენ ახლა ვამზადებთ მასშტაბურ ფოლკლორულ ზეიმს, რომელშიც აუცილებლად ჩავსვამთ ამ ბავშვების ნომრებს. ამათი შემოქმედების ჩვენება ნამდვილად ყველა დონეზე შეიძლება.“*

როზა გოგუაძე: *„ერთია ნიჭი და მეორეა მისი რეალიზება. ერთიცა და მეორეც დღეს ამ სკოლის კედლებში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა. ვულოცავ სკოლის ხელმძღვანელობას, ღონისძიების ორგანიზატორებს, მოსწავლეებს ამ ზეიმის ასე ხატოვნად გასრულებას. მისასალმებელია, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნულ საგანძურს – ქართულ ფო-ლკლორს.“*

ქართული ფოლკლორის როკვაში მონაწილეობდნენ: **თამარ ასათიანი, მარიამ გაბრელიანი, ირაკლი გაგუა, ლიზი გორდელაძე, ნია გუჯაბიძე, საბა გუჯაბიძე, ლუკა დოლიძე, ნათელა ვასაძე, ელენე ვაშალომიძე, ანა ზაქარეიშვილი, ლიზი თავართქილაძე, დაჩი თავაძე, ნიკოლოზ იობიშვილი, ელენე კალანდაძე, სანდრო კეკელიძე, ვალერი კილაძე, რომან კილაძე, მარიამ მათითაიშვილი, დავით მეგრელი-შვილი, ანამარია მკურნალიძე, დემნა მჟავანაძე, ანანო ონიანი, დავით როყვა, გვანცა რუსიეშვილი, ნიკოლოზ ტა-კიძე, გიორგი ტაკიძე, ლიზი ტულუში, ნინო ურუშაძე, ანი ქავთარაძე, მარიამ ქართველიშვილი, ელენე ქართველიშვილი, ლიზი ყაზაიშვილი, ანი შარაშიძე, ანანო ჩხაიძე, ანანო ხინთიბიძე.**

მე-4 ბაღის აღსაზრდელთა „გასტროლი“ ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები **ვაჟა აფაქიძე, ალექსანდრე ვასაძე, ანასტასია თოხაძე, ანამარია ლომაძე, ბარბარე მუჯირი, კესო ნაცვალაძე, ანამარია ოვფიანი, ელენე პაპუნაშვილი, საბა სიორიძე, ანასტასია სამსონია, ნიკო ტადაბაძე, ალექსანდრე შინდრიკოვი, ელენე ჩხაიძე, თემო ქაიახან, თორნიკე სალაია, ბარბარე დოლიძე, ელენე იმნაძე, ნინი გუბელიძე** განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები არიან. არა მგონია, ვინმეს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს. თუ ვინიცობაა, არის ასეთიც, მას უსათუოდ არ ექნება ნანახი 16 აპრილს მშობლიურ ბაღში, ხოლო 2 მაისს ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული ღონი-სძიებები ამ ბავშვების მონაწილეობით.

16 აპრილის ღონისძიებაზე მკითხველი უკვე ინფორმირებულია, **აბაშიძე, ბარბარე ბუზალაძე, ლიკა ბოლქვაძე, მარიამ გურჯიძე, ლუკა გოგოტიშვილი, ელენე დოლიძე, ნიკა** რაც შეეხება მეოთხებაღელთა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამოსვლას, შევეცდებით, ამ წერილით გადმოგცეთ ჩვენი აზრი მათი ინდიკობის შესახებ.

ორ კვირაში ერთ თემაზე ორი ღონისძიების ასე მაღალ დონეზე ჩატარება უფროსი თაობის წარმომადგენლებს გაუჭირდებათ, არათუ პატარებს. მაგრამ მე-4 ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვებმა, თავიანთი აღმზრდელების ხელმძღვანელობით, ეს შეძლეს და თანაც როგორ! ღონისძიებებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა და ორივეს მნახველი ძნელად თუ მიანიჭებდა რომელიმეს უპირატესობას. ბავშვები არ შეუშინდნენ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში „გასტროლს“ და „დედაენაზე“ აჭიკჭიკდნენ გურულების სათავო ქალაქის მთავარ წიგნის საუფლოში. ლექსი თქვეს ხატოვნად, იმღერეს შესანიშნავად, იცეკვეს შთამბეჭდავად და ბიბლიოთეკა დაათვალიერეს დიდი ინტერესით.

„ალიონთან“ საუბარში ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა **ლიანა ბაქანიძემ** თქვა, რომ მეოთხებაღელთა ეს სიურპრიზი არის საბიბლიოთეკო კვირეულის პირველი ღონისძიება პროექტის „ნაბიჯი წიგნისკენ“ ფარგლებში.

ბაღის მენეჯერია **მარიკა ღლონტი,** მეთოდისტი – **ნაილი გრძელიძე,** აღმზრდელები – **ლია ქავ-თარაძე, მარინა ინწკირველი,** მუსიკის მასწავლებელი – **ნანა ქილიფთარი,** ლოგოპედი – **მედეა გირკელიძე.**

ანასეული - წინათ და ახლა

პატივი მივაგოთ წარსულს, ვიზრუნოთ უკეთესი მომავლისათვის.

ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების საქართველოში სამრეწველო დანიშნულებით წარმოება-კულტივირება პირდაპირაა დაკავშირებული ამ უნიკალურ ადგილ-მდებარეობასთან- ანასეულთან, სადაც აგერ უკვე 90 წელია ფუნქციონირებდა და დღესაც აგრძელებს მუშაობას სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

საქართველოში ჩაის კულტურა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შემოიტანეს. ჩაის ბუჩქების პირველი ინტროდუცია 1847 წელს განხორციელდა შავი ზღვის სანაპიროზე. აჭარაში მე-19 საუკუნის დასაწყისში პირველი ჩაის პლანტაციები და ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები გაჩნდნენ. იმავე პერიოდში ჩაის ნარგაობამ ოზურგეთშიც გადმოინაცვლა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებიდან სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი ყურადღება მიაქცია. ხელისუფლებამ დარგის ინტენსიური განვითარების მიზნით აუცილებლად მიიჩნია ჩაის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზაცია.

ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1930 წლის 12 სექტემბრის დადგენილებაში ჩაწერილია „ჩაის საკავშირო ინსტიტუტი შეიქმნას ოზურგეთში, ჩაის წარმოების ცენტრში, ოზურგეთის ცენტრალური საცდელი სადგურის ბაზაზე, ხოლო მის ადგილსამყოფელად განისაზღვროს ოზურგეთიდან ოთხ კილომეტრზე დაშორებული ანასეულის ტერიტორია“.

აღნიშნული ტერიტორია ადრე თავადის ქალის ანას კუთვნილება ყოფილა, ხოლო იმ დროისათვის ეს ადგილები ტყე-ბუჩქნარით იყო დაფარული. სამეცნიერო ცენტრის ორგანიზაციისათვის ადგილმდებარეობას შესაფერისი სახე უნდა მისცემოდა. ამ საქმეში დიდი ენთუზიაზმი ხელისუფლებასთან ერთად გამოავლინა ადგილობრივმა მოსახლეობამ. მოკლე დროში მთლიანად შეიცვალა ანასეულის იერ-სახე. აშენდა ინსტიტუტისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები, მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები. მოძიებულ იქნა სამეცნიერო კადრები, საფუძველი ჩაეყარა საველე კაპიტალური ცდების მოწყობა-ორგანიზაციას. მეცნიერთა მიერ მსოფლიო ფლორის თითქმის ყველა სახეობის მცენარეებისაგან გაშენდა დენდროლოგიური პარკი, რომელიც დიდ კმაყოფილებას გვრის მნახველს.

თავისი არსებობის მანძილზე სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია. ინსტიტუტში შემუშავებული მეცნიერული კვლევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოში ჩაის კულტურის ნარგაობამ 67 ათას ჰექტარს, ხოლო ციტრუსის ბაღებმა - 30 ათას ჰექტარს მიაღწია, ასევე ფართოდ იწარმოებოდა დაფნის, ტუნგის, სუბტროპიკული ხურმის, ფეიჰოას და სხვა კულტურების პროდუქცია.

ჩაის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი - თავისი სამეცნიერო პოტენციალით, საცდელი პლანტაციებითა და წარმოებაში დანერგილი ღონისძიებებით მსოფლიოში ერთ-ერთ აღიარებულ ორგანიზაციად ითვლებოდა. ინსტიტუტში აღზრდილი სამეცნიერო

გვ-5

ოთხმოცი წლის გადასახედიდან

ტოლიკა ქავთარაძე კოლორიტი ოზურგეთელების შესახებ

ოზურგეთელი მძღოლი **ანატოლი (ტოლიკა) ქავთარაძე** 80 წლის გახდა. 50 წელი შეუსრულდა მის ერთგულ, უავარიო „გაზ 69“ („ვილისს“). ტოლიკა (ასე ეძახის ყველა) ენერგოსისტემაში საკმაოდ დიდხანს მუშაობდა და ლამაზი მოგონებებით აგვავსო.

— „მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდე. სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან 1961 წელს დავბრუნდი. მალე ოზურგეთის ელექტროქსელებში (ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის უბნები შედიოდა) დავიწყე მუშაობა მძღოლად. თავდაპირველად სატვირთო ავტომანქანაზე ვმუშაობდი. 1968 წლიდან ახალ „გაზ 69 -ა“ ჩამაბარეს და მას შემდეგ 50 წელია სხვა ავტომანქანა არ მყოლია. ყოველთვის უფროსებს ვატარებდი. უავარიოდ ვმართავ და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩემი საკუთრებაა. ახლაც ტექნიკური დათვალიერება წარმატებ-ით გავიარე და კვლავ ვივლი ყანასა თუ მტერ-მოყვარესთან ჩემი ერთგული „მეგობრით“.

ვიცი მაშინდელი ისტორიები გაინტერესებთ და **გივი ბლაგიძით** დავიწყებ.

გივი **გიორგი სალუქვაძესთან** „ბჟუჟჰესზე“ მუშაობდა მორიგე ინჟინრად და იქედან გადმოიყვანეს ოზურგეთის ელქსელების დირექტორად. უნიჭიერესი კაცი იყო. ეს ის პერიოდი იყო, როცა ელქსელებს საკუთარი ოფისი არ ჰქონდა და ხან „კოლხოზსტროის“, ხან სხვა ორგანიზაციის ოფისს ვიყენებდით. შემდეგ 25 ოქტომბრის ქუჩაზე (ამჟამად 9 აპრილის ქუჩა) გაკეთდა ოფისი. მუდმივად იყო სადღეღამისო მორიგეობა.კაცური მუშაობა იყო. ინტერესით უდგებოდნენ საქმეს, ვინმეს ავარია არ მოსვლოდა, ელექრობოძები დროულად შეგვეცვალა, ვინმე თუ დარეკავდა და ხარვეზის შესახებ შეგვატყობინებდა, გაიქცეოდნენ და შეაკეთებდნენ. ყველა კარგი მუშა იყო . არ მახსოვს ვინმესთვის საყვედური ეთქვას დირექტორს ან სამსახურიდან გაენთავისუფლებინოს.

რეგიონის მასშტაბით 635 თანამშრომელი იყო ელექროქსელებში. ჩოხატაურში **ნოდარი სიხარულიძე** და **გენრი მეგრელიშვილი** იყვნენ უბნის უფროსები, ლანჩხუთში — კაცური კაცი **ვალიკო ღლონტი.** იქ ქსელების უფროსი შოთა იმნაძე იყო. ყველა განათლებული და მშრომელი ხალხი იყვნენ. მე უფროსებთან მქონდა ურთიერთობა, მათ ვატარებდი.

ძალიან კარგი ხელმძღვანელი და საუკეთესო ადამიანი იყო **გიორგი სალუქვაძე,** რომლის სახელს უკავშირდება „ბჟუჟჰესის“ მშენებლობა. ნამდვილად კაცური კაცი — მამაჩემის, გრიგოლ ქავთარაძის (მამაც ქსელებში მუშაობდა) ფრონტის მეგობარი. ..გიორგი მომთხოვნი კაცი იყო. მასთან რომ დავჯდებოდი მაგიდასთან, მეუბნებოდა: — შენ იმერელი კაცი ხარ და დალიე ღვინო, რადგან იცი რამდენი მიიღო, ყველა მძღოლს ღვინო არ დაელევნებაო.მასაც უყვარდა მოლხენა, სიმღერა. მე ბანს ვერ ვეუბნებოდი, ტაშის დაკვრა ვიცოდი, მეტი არაფერი. ჰოდა, ვიყავით ასე სიყვარულში.

ბჟუჟჰესი ჩვენთან იყო შემოერთებული . გიორგი იქ ხშირად დადიოდა. ეუბნებოდენ: — დაანებე თავიო, მაგრამ არ მიატოვა. იცით, როგორ გააფორმა მან „ბჟუჟჰესის“ შესასვლელი შოთა რუსთაველის აფორიზმებით. მაშინ ჰესზე მუშაობდა მამაჩემი. ერთ-ერთი დაფის უკან მხარეს ელექტროშემდუღებელი აპარატითაა დაწერილი მამას სახელი და გვარი.

მახსოვს, 1970 წელს გენიჩესკელები იყვნენ სტუმრად ოზურგეთში. მე დამავალეს ჩამეყვანა ისინი თბილისში. კარგი ურთიერთობა გვქონდა უკრაინელებთან...

ცალკე უნდა გამოვყო **რენო ურუშაძე.** პატიოსანი და წესიერი კაცი, მისნაირი ყურადღებიანი ადამიანი არავინ არ იყო. პირველი რასაც გკითხავდა იყო: სახლში როგორ ხართ? ყველასთან შინაური იყო. თუ ბავშვი ავად მყავდა, ექიმ **რატი ღლონტს** დაურეკავდა. დაგივჯდებოდა, ღვინოს დალევდა, მოგეფერებოდა. შენთანაც მოვიდოდა, მასთანაც წაგიყვანდა. საუცხოო კერძებით გვიმასპინძლდებოდა რენოს მეუღლე -ქალბატონი **დოდო ტრაპაიძე.**

სახლშიც მსტუმრობდნენ. მაგიდას რომ მივუსხდებოდით რენოსთან ერთად, ხან **არსენ კეჭაყმაძე** და **თემური ბებურიშვილი** გვიერთდებოდნენ.

რენოს საუკეთესო მეგობარი იყო სულცხონებული **თეზიკო ქილიფთარი.** ძმებივით იყვნენ ერთმანეთთან.

სიმონიკა შეწირული იყო კოლორიტი ოზურგეთელი, ავტოინსპექციის უფროსი. ცოლ-შვილის ბახმაროში გაშვება რომ უნდოდა — უფროსს სთხოვდა, ტოლიკა საიმედო მძღოლია და გამოუშვიო... გაგიკვირდებათ, არასდროს არ მქონია ავტოინსპექციასთან პრობლემა...მე-2 კლასის მძღოლი ვარ...

რენო ურუშაძეს ნადირობა უყვარდა. ხანდახან მასთან ერთად სანადირო‌დაც დავდიოდით პალიასტომზე. ბევრნი იყვნენ: **იური სიორიძე, ბეგლარ ჩხაიძე, მარცი ზაქარიაძე, ბიჭიკო მეგრელაძე, დათო იმედაშვილი, ზაური ვანიძე, ვალოდი, ბუხუტი ჯინჭარაძეები** და კიდევ სხვები. ხომ წარმოგიდგენიათ როგორი მხიარულება იქნებოდა იქ...ერთხელ დაბადების დღე პალიასტომზე გადამიხადეს..

გახსოვთ ალბათ 1985 წლის უხვთოვლიანი ზამთარი. თოვლის სიმაღლე ბევრგან 1,5-2 მეტრს აჭარბებდა. რენო ურუშაძემ სამსახურის სრული მობილიზაცია მოახდინა. გამართულად მუშაობდა ავარიული ბრიგადები. შუქი არ ჩამქრალა არც ერთ დასახლებულ პუნქტში. „საქენერგომ“ ოზურგეთის ელქსელების ყველა თანამშრომელი ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვა. რადგან ჯილდოებზე ჩამოვარდა სიტყვა „საქენერგომ“ მე პირადად მაჯის საათი გადმომცა და მედალზეც წარმადგინა...

რენოს შემდეგ ელქსელების დირექტორი **ომარ ჭანიშვილი** იყო —ახალგაზრდა კაცი, პროფესიონალი .ომარი რომ წავიდა — ქსელებიც დაიშალა. მე მერე იქ აღარ მიმუშავია...

მე და ციალა 53 წლის წინ დავქორწინდით. ორი შვილი, სამი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი გვყავს. ციალა პროფესიით ბუღალტერია და ანასეულის სკოლაში მუშაობდა.

არ შემიძლია კარგი სამეზობლოს სამეგობრო არ გავიხსენო: **ჭოლა და პავლე ლომთათიძეები, გენო რუსიძე (საუკეთესო ბანი), საშა ჩხაიძე, სხვები...** თავისუფალ დროს სულ ერთად ვიყავით. „მეგობრული ვახშამი“ ხშირად გვქონდა. ყველას სიმღერა შეეძლო... აღარ არიან...

რომ მიყურებ ნაპატივებს, რძიდან და ყველიდან ვარ ასე. სულ მქონდა ყანა და მყავდა საქონელი. ასე მოვედი 80 წლამდე.მუდამ ვშრომობდი და ვშრომობ. სანამ ვიქნები, ამ წესით ვიცხოვრებ...“ —გვითხრა მან.

ნუგზარ ასათიანი

ანასეული - წინათ და ახლა

პატივი მივაგოთ წარსულს, ვიზრუნოთ უკეთესი მომავლისათვის.

კადრები წარმატებით მოღვაწეობდნენ საქართველოსა და მის გარეთ არსებულ კვლევით დაწესებულებებში, ქვეყნის პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე, რის გამოც ანასეული სამართლიანად ითვლებოდა სუბტროპიკულ კულტურების დარგში მეცნიერ-სპეციალისტთა სამჭედლოდ.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 1990-2010 წლებში ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებდა ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტი, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში ბევრი კვალიფიციური კადრი აღზარდა რეგიონის სოფლის მეურნეობის ძირითად სპეციალობებზე.

სამწუხაროდ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა მძიმე კვალი დაჩინეს, როგორც სუბტროპიკული მემცენარეობის დარგის განვითარებას, ასევე ამ დარგში დასაქმებული სამეცნიერო კადრების არსებობას. მოიშალა ინფრასტრუქტურა, გასხვისდა კაპიტალური საცდელი ნაკვეთები, სამუშაოდან დათხოვნილი იქნა ამ დარგის სპეციალისტები. მეჩაიეობისა და სუბტროპიკული მემცენარეობის სხვა დარგების დეგრადაცია უარყოფითად აისახა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საკმარისია დავასახელოთ ჩაის ნარგაობის 67 ათასი ჰექტარიდან ოთხი ათას ჰექტრამდე, ხოლო ციტრუსოვნების 30 ათას ჰექტარიდან 8 ათას ჰექტრამდე შემცირება. როგორც ავღნიშნე ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოების კატასტროფული შემცირება, მძიმე ტვირთად დააწვა ამ რეგიონის მოსახლეობას, რის გამოც აქტიური მუშახელის უმეტესობა ყოველწლიურად გაედინება თურქეთში ჩაისა და თხილის პლანტაციებში სამუშაოდ.

დღეისათვის ხელისუფლება ცდილობს ამ დარგების რეაბილიტაციის ხელშეწყობას თანადაფინანსებისა და მატერიალური დახმარების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. ბუნებრივია ამ საქმეში დაგეგმილია სამეცნიერო- კვლევითი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო კადრების დასაქმებაც. ამ მიზნით ანასეული , როგორც სამეცნიერო ცენტრი თანდათან იბრუნებს თავის სახეს. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ანასეულში აღზრდილი წარმატებული ადამიანის დახმარებითა და ქველმოქმედებით (ბატონი პეტრე ცანავა) უკვე ორი წელია მიმდინარეობს დენდროლოგიური პარკის განახლება. ტერიტორია გაიწმინდა გამხმარი,დაზიანებული მცენარეებისაგან,დაირგო ახალი სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ნერგები, შეთეთრდა და ეტიკეტირება გაუკეთდა ნარგაობას. პარკში მოეწყო ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის, გაზონები, დასასვენებელი ადგილები. ამჟამად პარკში მიმდინარეობს ენდემური და ინტროდიცირებული მცენარეების ინვენტარიზაციის პროცესი.

პარალელურად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით აღდგენილი იქნა პარკში არსებული მოზაიკური წყლის შადრევანი,ირგვლივ მოეწყო ქვაფენილები და სასეირნო ბილიკები, განათებები და სხვა ეგზოტიკური სანახაობები, მიმდინარეობს დენდროლოგიური პარკის შემოღობვა- დაცვა. ანასეულის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მალე დაიწყება წყალმომარაგების ახალი სისტემის მშენებლობაც.

რაც მნიშვნელოვანია ანასეულის ამ უნიკალურ პარკში ფუნქციონირებას აგრძელებს აგრალური უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი. ამასთან ტერიტორიას ამშვენებს ახლადგარემონტებული ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული.“ აქვე ფუნქციონირებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამსახური, რომელიც ორიენტირებულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პერსპექტიული ფორმების გენეტიკური რესურსების შეგროვება, შესწავლა და გამრავლების ტექნოლოგიის შემუშავებაზე. ანასეულის ტერიტორიაზე მოწყობილია სადემონსტრაციო და საკოლექციო ნაკვეთები, მიმდინარეობს მუშაობა სუბტროპიკული კულტურების , კაკლოვნების და კენკროვნების პერსპექტიული ფორმების მოძიება, გამრავლება და გაშენების აქტუალურ საკითხებზე. აქვე მოეწყობა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების პროგრესული ტექნოლოგიური ხაზები, ფერმერების მომზადება- გადამზადების კურსები, მავნებელ-დაავადებათა გამოვლენის, შესწავლისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ბიოლაბორატორია. ასე რომ ახლო პერსპექტივაში ანასეული თანდათანობით აღადგენს თავის იერ-სახეს და ფუნქციას.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ოროგრაფიულად ეს ადგილი წარმოადგენს ერთგვარ შემაღლებულ ტერიტორიას, სადაც მთისა და ზღვის ჰაერის ერთობლიობა ზაფხულის პერიოდში ქმნის გრილ და სასიამოვნო გარემოს- ამდენად იგი მიმზიდველია დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის, რაც ოზურგეთის აგროტურისტულ გეგმებში ჰპოვებს გამოხატულებას. ასევე აღდგება ახლადდაქორწინებულთა მიერ საქორწილო ესკორტით შემოვლა- მონახულების ტრადიცია.

P.S. პირადად ჩემი ცხოვრების ძირითადი ნაწილი (60 წელი) ანასეულში მაქვს გატარებული. ამ ადგილს დღესაც არ დაუკარგავს თავისი კოლორიტი საუკეთესო ადგილმდებარეობისა და იმ ადამიანების გამო რომლებიც წლების მანძილზე აქ შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ, თუმცა მათი დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარაა. მათ სახელსა და დამსახურებას ისტორია შემოინახავს, ხოლო ჩვენ ვინც დღეს ვაგრძელებთ მოღვაწეობას ვალდებული ვართ ვიზრუნოთ ანასეულის, როგორც ერთერთი გამორჩეული სამეცნიერო ცენტრის ძირითადი მიზნების- სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და ხალხის სამსახურში ჩაყენების აქტუალური პრობლემების მოგვარებაზე.

ამასთან ჩვენი მოვალეობაა ანასეულის მოსახლეობასთან ერთად, ყველაფერი გავაკეთოთ ამ უნიკალური ტერიტორიის კეთილმოწყობისა და კოლორიტული იერ-სახის შესანარჩუნებლად.

ზაურ გაბრიჩიძე

ს.მ.მ. დოქტორი, პროფესორი

აჭარის ღია პირველობაზე ჩოგბურთში

1 მაისს ქალაქ ბათუმში სტარტი აიღო აჭარის ღია პირველობამ ჩოგბურთში, სადაც ოზურგეთის ჩო გ-ბურთის სკოლის ექვსი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას.დამაჯერებლად ჩაატარა თავისი პირველი მატჩი ჯგუფში ოზურგეთელმა საბა მახარაძემ ქობულეთელი ბაჩო ტაკიძის წინააღმდეგ,რომელიც რატომღაც მეტოქის მწყობრიდან გამოყვანის მიზნით საკმაოდ გამომწვევად იქცეოდა და გათამაშებებში მის სასარგებლოდ აღებულ ქულებს აღნიშნავდა ხმამაღალი შეძახილით „ქომონ ბებყ!??თუმცა საბა მშვიდად შეხვდა ამ ყველაფერს,მატჩთან ერთად ფსიქოლოგიური ომიც მოუგო მეტოქეს და ის ორ სეტში, 6-2 6-2 დაამარცხა. გოგონათა შორის გამარჯვებასთან ახლოს იყო დაკა სადრაძე ქუთაისის წარმომადგენელ მარიამ ნემსაძის წინააღმდეგ გამართულ მატჩში, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საკმაოდ მძიმე ბრძოლაში სამ სეტში დამარცხდა 6-4 4-6 8-10.(ტაიბრეიკი) (მესამე სეტში პირდაპირ ტაიბრეიკი ინიშნება 10 ქულამდე).პირველ ტურში ქუთაისელ საბა პაქსაძესთან 3-6 1-6 მარცხის შემდეგ ოზურგეთელმა კახა მჟავიამ მეორე შეხვედრა ასევე ოზურგეთელ იოანე კონტრიძეს მოუგო და ამ გამარჯვებით საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი დაიტოვა. ერთი მოგება აქვს მანუჩარ სადრაძეს.მისი მეორე მატჩი ქუთაისელ საბა პაქსაძესთან გადაიდო უამინდობის გამო (ამ ჯგუფში ოზურგეთელ ჩოგბურთელებს ერთმანეთის წინააღმდეგაც უწევთ მატჩების ჩატარება) რაც შეეხება უმცროსასაკოვან გიორგი სვანიძეს,ის ბათუმისა და თბილისის საჩოგბურთო სკოლის აღსაზრდელებთან გამართულ მატჩებში დამარცხდა.ტურნირის რეგლამენტის თანახმად თავიანთი ჯგუფების გამარჯვებულები ფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს,ჯგუფის მეორე ადგილოსნები კი მესამე მეოთხე ადგილს გაითამაშებენ...ოზურგეთელ ჩოგბურთელებთან ერთად ბათუმში იმყოფება და ბავშვებს მატჩებისთვის ამზადებს ფიზმომზადების მწვრთნელი, დავით თავართქილაძე .წარმატებები ოზურგეთელ ჩოგბურთელებს...

მადლობა

ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის კოლექტივი ვულოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწულს ოზურგეთის მერს, ბატონ **კოტე შარაშენიძეს** და ა.(ა) იპ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორს **მაკა ჭყონიას** თავის გუნდთან ერთად.

მადლობას ვუხდით ბატონ კოტე შარაშენიძეს და ყველა იმ სამსახურს, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი ხელფასის 50%-იან დანამატში. აგრეთვე მადლობელი ვართ, რომ საბავშვო ბაღები შეივსლო ახალი, კომფორტული, ხარისხიანი ინვენტარით.

ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის კოლექტივი.

სულთათანა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს მერიის საჯარო სკოლის პედაგოგს, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს თამარ გობრონიძეს მამის, **ილია გობრონიძის** გარდაცვალების გამო.

სკანვორდი





№ 18-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ნუგზარ ასათიანი; ძვირფასი მეტალი – ოქრო; ჩანჩქერი ამერიკაში – ნიაგარა; სისხლში რომ საზღვრავენ – როე; მე-9 ასობგერა – ი; ასაკოვანი – ჭარმაგი; კაცის სახელი – გიგა; ნადირთა მეფე – ლომი; თანდაყოლილი ჭკუასუსტობა – ოლიგოფრენია; ანაშის მომხმარებელი – ქეში; ციხე-სიმაგრე „გრაფი მონტე კრისტოში“ – იფი; მეფის ბრძანება, წერილი – როარტაგი; ჯანჯუხა – ჩურჩხელა; სასჯელის სახეობა – მოკვეთა; ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი – რამსეი; მოსამართლის მოსასხამი – მანტია; ვირის ნაშიერი – ჩოჩორი; სოფელი სვანეთში – უშგული; კანონის, წესის შემოღება – განწესება; სოფელი სამეგრელოში – ლია; თევზის კერძი – უხა; ქართული ცეკვა – სამაია; ვინც წუწუნებს – წუწუნა; ქვევრი – ჭური; ხვიარა მცენარე – ლიანა; მეტყველების ორგანო – ენა; გრაფიკი – სია; ქართველი მსახიობი ... ანთაძე – ლეო; ნაბიჯი ცეკვაში – პა; არსობის პროდუქტი – პური; იარაღის საწყობი – არსენალი; ქართული სამოსი – ჩოხა; უსწორმასწორო – ოღროჩოღრო; ლაღიძის ოპერა – ლელა.

1841 წლის აჯანყება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

გაგრძელება დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №5-8, 10-11, 15



სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა ბრუსილოვის თხოვნის შემდეგ სასწრაფოდ შეკრიბა სამეგრელოს მილიცია (1000 მებრძოლი) და 1841 წლის 18 აგვისტოს ფოთიდან გურიისაკენ დაიძრა. იმავე დღეს სამეგრელოს მილიციამ აჯანყებულები განდევნა სოფელ **მალთაყვიდან,** ხოლო ორდღიანი ცხარე ბრძოლების შემდეგ სოფელი **გრიგოლეთი** დაიკავა. აჯანყებულებმა დაკარგული პოზიციების დაბრუნება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. მალთაყვისა და გრიგოლეთის ბრძოლებში დაიღუპა აჯანყებულთა წინამძღოლი აზნაური **ქაქუჩელა გუგუნავა**. სამეგრელოს მილიციიდან დაიღუპა 1, დაიჭრა 23, კონტუზია მიიღო 14 მებრძოლმა. მართალია, მალთაყვისა და გრიგოლეთის ბრძოლების შემდეგ აჯანყებულებმა ფოთსა და რედუტ-კალეზე თავდასხმა ვეღარ შეძლეს, მაგრამ ვერც სამეგრელოს მილიციამ შეძლო ოზურგეთისაკენ წინსვლა ფოთიდან ოზურგეთისაკენ მიმავალ გზაზე ყველა ხიდი განადგურებული იყო, ხოლო მდინარეთა ფონს აჯანყებულები იცავდნენ. ფოთიდან წმ. ნიკოლოზის სიმაგრისკენ მიმავალ გზაც აჯანყებულებს ეკავათ. ამიტომ იყო, რომ 1841 წლის 23 აგვისტოს ლევან დადიანმა უბრძოლველად დაიხია უკან და ფოთში დაბრუნდა. ფოთში ჩასულმა სამეგრელოს მთავარმა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ გენერალ-მაიორ იოსებ სკალონისაგან მიწერილობა მიიღო. სამეგრელოს მილიცია პოლკოვნიკ არლუთინსკის ახალციხის მილიციას უნდა შეერთებოდა. ლევან დადიანმა 400 მილიციელი შინ გაუშვა, ხოლო 300 ცხენოსანი და 200 ქვეითი ცხენისწყლის საგუშაგოზე გაგზავნა, სადაც ახალციხის მილიციით არლუთინსკი იდგა, 100 მილიციელი გურია-სამეგრელოს საზღვარზე განალაგა, რათა აჯანყებულების სამეგრელოში გადასვლა არ დაეშვა.

§4. აჯანყების მესამე ეტაპი (1841 წლის აგვისტოს ბოლო და სექტემბრის დასაწყისი)

იმერეთის მილიციის მიერ **ჩოხატაურის** საგუშაგოდან უკან დაიხევის შემდეგ აჯანყებულებმა ძველი ხერგილები აღადგინეს, ხოლო მდინარე სუფსის ფონთან ახალი ხერგილი ააგეს. ისინი გააქტიურდნენ ზღვისპირეთშიც, მდინარე მალთაყვის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ, აშკარა იყო, რომ **ფოთის** დასაკავებლად ემზადებოდნენ. ამ დროისათვის ფოთში ჯარისათვის განკუთვნილი პურის ფქვილის დიდი მარაგი იყო. სიმაგრის საწყობებში ინახებოდა სევასტოპოლიდან გადმოტანილი საარტილერიო ყუმბარები. ფოთის გარნიზონს შეადგენდა პირველი სახაზო ბატალიონის მე-3 ასეული, 18 არტილერისტი, 12 კაზაკი, საგუშაგო რაზმის 13 ჯარისკაცი და 46 მილიციელი სამეგრელოდან. გარნიზონს შეიარაღებაზე გააჩნდა 4 ზარბაზანი. ამ დროისათვის აჯანყებულთა რაოდენობამ 7.200 კაცს მიაღწია, აქედან 4.000 მებრძოლი **ოზურგეთთან** და **ფოთის** მახლობლად მდინარე მალთაყვის ნაპირზე იდგა, 2.700 აჯანყებულს ჩოხატაურის საგუშაგოზე იმერეთის მილიცია ჰყავდა ალყაში მოქცეული, ხოლო 500 მებრძოლი გურიისა და იმერეთის საზღვარზე იდგა.

1841 წლის 24 აგვისტოს აჯანყებულებმა ორჯერ შეუტიეს **ჩოხატაურის** საგუშაგოს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. წარუმატებელი გამოდგა მოგვიანებით განხორციელებული შეტევებიც. იმერეთის მილიციას ბრძოლებში 6 კაცი მოუკლეს, დაიჭრა – 20. მომდევნო დღეებში ბრძოლები გაგრძელდა, ხოლო 27 აგვისტოს პოლკოვნიკმა წერეთელმა პროვიანტის ამოწურვის გამო ცხენისწყლის საგუშაგოსკენ უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო. წერეთელმა იმერეთის მილიცია სოფელ **ეწერთან** შეაჩერა, რათა პროვიანტის მარაგი შეევსო.

1841 წლის აგვისტოს ბოლოს აჯანყებულებმა **ცხენისწყლის** საგუშაგოს გარშემო სოფლები დაიკავეს. პოლკოვნიკი არლუთინსკი იძულებული გახდა, საგუშაგოს დასაცავად ქართველ გრენადერთა პოლკის ბატალიონი და მე-19 საარტილერიო ბრიგადის 2 ზარბაზანი, ასევე მილიციის ძლიერი რაზმი გაეგზავნა. ჯერჯერობით არლუთინსკი იერიშზე გადასვლას არ აპირებდა, რადგან რეგულარული ჯარისა და მილიციის რაზმების თავმოყრას ელოდა. პოლკოვნიკს აფიქრებდა ის, რომ ერევნის კარაბინერთა პოლკის 4 ასეული და სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ასეული 1841 წლის 3-4 სექტემბერს თუ მოაღწევდნენ დანიშნულების ადგილზე. ოზურგეთში გურიის რაზმისა და ჩოხატაურის საგუშაგოდან უკანდახეული იმერეთის მილიციისათვის დასახმარებლად გენერალ-მაიორმა კოცებუმ არლუთინსკის ურჩია, არ დალოდებოდა დამატებითი ძალების მისვლას და სამეგრელოს მილიციასთან ერთად აჯანყებულთა წინააღმდეგ შეტევა დაეწყო. არლუთინსკის უმოქმედობა დამთრგუნველად მოქმედებდა სამეგრელოსა და იმერეთის მილიციაზე, არადა, სწორედ ლევან დადიანი და თავადი წერეთელი აფერხებდნენ გურიიდან სამეგრელოსა და იმერეთში აჯანყებულთა შეჭრას. არლუთინსკიმ ისიც კარგად უწყოდა, რომ მისი უმოქმედობა დიდ საფრთხეს უქმნიდა ცხენისწყლის საგუშაგოს.

ოზურგეთის გარნიზონის მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო. ტყვია-წამლისა და სურსათის ნაკლებობამ, ავადმყოფობამ და აჯანყებულთა აქტიურობამ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება დასცა. მართალია, თავადები და აზნაურები არაფერს იმჩნევდნენ, მაგრამ აშკარა იყო, დაეცა რიგითი მილიციელის საბრძოლო სულისკვეთებაც. ავადმყოფობამ დარია ხელი ფოთში მყოფ პოლკოვნიკ **ბუიუროვსაც,** ხოლო გენერალმა ანრეპმა ფოთი დატოვა და აფხაზეთში დაბრუნდა. ოზურგეთის გარშემო აჯანყებულთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. 1841 წლის 23 აგვისტოს აჯანყებულებმა ოზურგეთის მახლობლად მდებარე გორაკები დაიკავეს, ერთერთ გორაკზე ზარბაზანი აიტანეს და ოზურგეთში განლაგებული სამხედრო ჰოსპიტალი დაბომბეს.

ოზურგეთის გარნიზონმა საპასუხო ცეცხლი გახსნა, რის შემდეგაც აჯანყებულებმა დაბომბვა შეწყვიტეს. 30 აგვისტოსათვის მათ ოზურგეთის ციხე-სიმაგრის გარშემო თითქმის ყველა შენობა დაიკავეს, ციხის კედლების გარეთ გამოსული რუსები მაშინვე აჯანყებულთა ცეცხლის მსხვერპლი ხდებოდნენ. ციხეში მყოფი ოზურგეთის გარნიზონი ტყვია-წამლისა და ზარბაზნის ყუმბარების ნაკლებობას განიცდიდა, 30 აგვისტოსათვის სულ რამდენიმე დღის მარაგი იყო დარჩენილი, თითქმის მთლიანად ამოწურა ფურაჟი ცხენებისათვის. ბრუსილოვმა ბრძანება გასცა, ცეცხლი თოფებიდან და ქვემეხებიდან მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაეხსნათ. პოლკოვნიკ არლუთინსკის დაგვიანებამ საბოლოოდ დასცა გარნიზონის საბრძოლო სულისკვეთება. ოზურგეთიდან ყოველდღე რამდენიმე მილიციელი გარბოდა, ხოლო 27-28 აგვისტოს ღამით გაიქცა გურიის მილიციის 20 მებრძოლი თავად **დავით გუგუნავას** მეთაურობით. გაქცეული გუგუნავა აჯანყებულთა მხარეს გადავიდა და მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. დავით გუგუნავას აჯანყებულთა მხარეს გადასვლის შემდეგ ბრუსილოვმა გურიის მილიციის მეთაურ პოდპოლკოვნიკ **მაჭუტაძეს** სთხოვა, მილიცია ხელახლა დაეფიცებინა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. დაფიცება შედგა, არ დაიფიცა მხოლოდ ორმა მილიციელმა, რომლებიც მალე აჯანყებულებთან გაიქცნენ. 1841 წლის 1 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, აჯანყებულებმა ყოველი მხრიდან შეუტიეს ოზურგეთს. ბრძოლას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ: თავადი **დავით გუგუნავა,** თავადი **ამბაკო შალიკაშვილი,** აზნაური **აბესა ბოლქვაძე, ოთარ თოიძე** და **ბაქანიძე.** 3.000 მებრძოლი მოულოდნელად გადავიდა შეტევაზე, ოზურგეთის გარნიზონს თავიდან აქტიურობა არ გამოუჩენია, რამაც აჯანყებულები გაათამამა. მოულოდნელად პრაპორშჩიკმა **მაკუხინმა** ზარბაზნები საბრძოლო პოზიციაზე განალაგა და ძლიერი ცეცხლით შეტევაზე გადმოსულთა პირველ კოლონაში ბევრი აჯანყებული დაჭრა თუ დახოცა. ამის შემდეგ მაკუხინმა ზარბაზნები სიმაგრის მეორე მხარეს გადაიტანა და კვლავ დიდი ზიანი მიაყენა აჯანყებულთა მეორე კოლონას. მალე ორივე კოლონამ უკან დაიხია, რითაც ისარგებლა პორუჩიკმა მიქელაძემ და 70 რუსი ქვეითით კონტრშეტევა წამოიწყო. გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა. აჯანყებულებმა დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. მათი მესამე კოლონის წინააღმდეგ ცეცხლი ზარბაზნებიდან პირადად პოლკოვნიკმა ბრუსილოვმა გახსნა და ახლო მანძილიდან ბევრი აჯანყებული დაჭრა და დახოცა. ოზურგეთიდან ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე საგუშაგოზე იდგა პირველი სახაზო ბატალიონის პრაპორშჩიკი თავადი **დადეშქელიანი,** რომელიც კაზაკთა რაზმით მოულოდნელად შეიჭრა ოზურგეთში. აჯანყებულებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს დადეშქელიანს, მაგრამ საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ დიდი დანაკარგით უკან დაიხიეს. ცალკეული შეტაკება ოზურგეთის გარშემო საღამომდე გრძელდებოდა. ოზურგეთზე იერიშისას აჯანყებულებმა მოკლულთა სახით 150 კაცი დაკარგეს, ბევრად დიდი იყო დაჭრილთა რიცხვი

ოზურგეთზე აჯანყებულთა შეტევის მარცხით დასრულება, გარკვეულწილად, ცუდად მომზადებულმა და ნაჩქარევმა იერიშმა განაპირობა. ამასთან ერთად, მარცხი ჰასან ბეი თავდგირიძის უმოქმედობითაც იყო გამოწვეული. 1 სექტემბერს ჰასან ბეი ქობულეთელთა რაზმით ოზურგეთიდან მომორებით იდგა და აჯანყებულებს ტყვია-წამლით ამარაგებდა, მაგრამ ბრძოლაში ჩაბმისგან თავს იკავებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქობულეთის სანჯაყის მმართველი ბრძოლაში მაშინ ჩაებმებოდა, თუ აჯანყებულები ოზურგეთის გარნიზონს გაანადგურებდნენ. აჯანყებულები დამარცხდნენ და თავდგირიძესაც ქობულეთის მიაშურა.

§5. აჯანყების დამარცხება

1. ჯარების მობილიზება აჯანყების ჩასახშობად. გურიაში აჯანყების მიმდინარეობის შესახებ თბილისში ცნობები დაგვიანებით მოდიოდა. კიდევ უფრო დაგვიანებით აღწევდა განკარგულებები ოზურგეთამდე. აჯანყებულთა წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების შემუშავებას ხელს უშლიდა წინააღმდეგობა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა შორის. სამხედრო ხელისუფლებიდან უმთავრეს გადაწყვეტილებების იღებდა კავკასიის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **პაველ კოცებუ,** რომელიც მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ათანხმებდა კავკასიის მთავარსარდალ **ევგენი გოლოვინთან.** მას შემდეგ, რაც აჯანყებამ მთელი გურია მოიცვა, ევგენი გოლოვინმა თავის თავზე აიღო მისი დროულად ჩახშობის ამოცანა. 1841 წლის 14 აგვისტოს მან ამ მიზნით გამოყო: ერევნის კარაბინერთა პოლკის 2 ასეული (400 ოფიცერი და ჯარისკაცი), სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ასეული (100 ოფიცერი და ჯარისკაცი), ქართველ გრენადერთა პოლკის მე-2 ბატალიონი (600 ოფიცერი და ჯარისკაცი), საქართველოს მეორე სახაზო ბატალიონი (215 ოფიცერი და ჯარისკაცი), დონის კაზაკთა მე-8 პოლკის 1 ასეული (100 კაზაკი), მე-19 საარტილერიო ბრიგადის 2 მსუბუქი და 4 სამთო ზარბაზანი. იმავდროულად მილიციის (სახალხო ლაშქრის) მობილიზაცია გამოცხადდ აიმერეთში, სამეგრელოსა და ახალციხის მაზრაში (მილიციის ნაწილი ამ რეგიონიდან უკვე მობილიზებული და გურიაში გაგზავნილი იყო. ერევნის კარაბინერთა და სამეგრელოს ეგერთა პოლკების ასეულები დისლოკაციის ადგილიდან გურიისაკენ უნდა დაძრულიყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში პოლკოვნიკ **მოვსეს არლუთინსკი-დოლგორუკოვის** ბრძანების შემდეგ. ერევნის კარაბინერთა პოლკის 2 ასეული **მანგლისიდან** ქართლის გავლით ქუთაისში უნდა ჩასულიყო. სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ასეული **აწყურის** მიდამოებიდან ხანის ხეობით უნდა გადასულიყო იმერეთში და ქუთაისში შეერთებოდა ერევნის კარაბინერთა პოლკის 2 ასეულს. თბილისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ლეიტენანტ მიხაილ ბრაიკოს ბრძანების თანახმად იმერეთის მილიცია რაჭისა და შორაპნის მაზრებში უნდა შეეკრიბათ, ახალციხის მაზრიდან კი მხოლოდ 100 მუსლიმი ცხენოსანი უნდა გაეწვიათ.

საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918 (გვ 518-520)

ვახტანგ გურული

პროფესორი

პირველმაისობა გურიაში

ორგანიზატორი ისიდორე ჩხარტიშვილი მარცხნივ

პირველი მაისი პირველად გურიაში 1892 წელს აღნიშნეს, მაშინ როცა თბილისში პირველად 1899 წელს აღინიშნა მცირე მასშტაბით და ქალაქგარეთ, ხოლო 1901 წელს – მიტინგით ქალაქის მოედანზე, რომელსაც, სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატიული გაზეთ „კვალის“ რედაქციის გაჩხრეკვა და ნოე ჟორდანიას ერთწლიანი დაპატიმრება მოჰყვა.

სოციალ-დემოკრატიული იდეებით გატაცებული გურულებისთვის 1 მაისი მნიშვნელოვანი თარიღი იყო და მას შეძლებისდაგვარად აღნიშნავდნენ 1904 წლამდე. ცნობილია, რომ პირველი მაისი 1904 წელსაც აღნიშნეს ქალაქ ოზურგეთის ბაზარსა და მაზრის სხვადასხვა სოფლებში.

1906 წელს, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების და გურიაში აჯანყების სასტიკი ჩახშობის შემდეგაც კი არ შეშინებიათ გურულებს 1 მაისის აღნიშვნა. ერთი ასეთი ფაქტია ცნობილი სოფელ ბაილეთში საპირველმაისო მიტინგის გამართვისა.

მონაწილის, მიზარბერ გობრონიძის ცნობით (მაისობა გურიაში, ლენინის დროშა .№35, გვ. 1, 1937), სოფელ ნურმევში ნოე დარჩიას ქუხნაში შეიკრიბნენ: სევასტი შავიშვილი, ხალამპრე ხავთასი, ბესარიონ რუსიძე, ილარიონ ქილიფთარი, სიმონ გოგუაძე, სიმონ დარჩია, ლიდერი ისიდორე ჩხარტიშვილი. მიტინგში ჯუმათის, სილაურის და ახალსოფლის გლეხობას უნდა მიეღო მონაწილეობა.

1906 წლის 1 მაისს, 10 საათზე, ბაილეთში, გურიელის სასახლესთან, კახაბალის ქვეშ დაიწყეს თავის მოყრა გლეხებმა, ბურთაობა უნდა გამართულიყო. ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე მზვერავად იყო გაგზავნილი პორფილე დობორ-ჯგენიძე. 12 საათზე ემარკოზ ჩხარტ-იშვილმა ათვრიალა წითელი დროშა და გახსნა მიტინგი. სიტყვები წარმოთქვეს ისიდორე ჩხარტიშვილმა და დათიკო კილაძემ.

ამასობაში მოვიდა ცნობა ოზუ-რგეთიდან მომავალი ჟანდარმების შესახებ. მიტინგი დაიშალა, დაიწყეს ცეკვაობა, ბუ-რთაობა, ლელოს თამაში. მოვიდა 8 ჟანდარმი, ვერაფერი შეამჩნიეს, დახვდათ მხოლოდ მობურთალი და მოცეკვავე ხალხი, [illegible]ო, - განაცხადეს და წავიდნენ.

ეს არ იყო ერთადერთი ფაქტი: იმავე დღეს ეკალდიდის ტყეში ჩატარდა არალეგალური პირველმაისობა, სადაც 300-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა და ა. შ.

ძვირფასო ოზურგეთელებო!

გილოცავთ წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს. გისურვებთ რწმენაში გაძლიერებას და სულიერ ამაღლებას. ჩვენ თქვენთან ვართ თქვენი უფლებების, სოციალური პირობების გაუმჯობესების, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების და მოქალაქეთათვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნის საქმეში.

მიხეილ გოგოტიშვილი,
„ევროპული საქართველო –მოძრაობა თავისუფლებისათვის“
ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ცვლილებები ცვლილებებია ლარებზე ცვლილებები ცოლვილებით გილოცავთ გიორგობას!

მის: ოზურგეთი, გვ. იპოლიტოვ-ცის ქ. №2

VIII საგაზაფხულო გამოფენა

ალიონი. 2 მაისს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის VIII საგაზაფხულო გამოფენა გაიხსნა.

როგორც წამყვანმა, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** აღნიშნა, გამოფენაში მონაწილეობს გურიაში მოღვაწე 55 მხატვარი. სამხატვრო გალერეის თეთრ დარბაზში გამოფენილია თითოეული მხატვრის სამ-სამი ახალი ნამუშევარი. ეს სარეკორდო მაჩვენებელია გურიისთვის. ასევე აღსანიშნავია გამოფენის ჟანრობრივი მრავალფეროვნებაც.

გამოფენაზე მოსულმა საზოგადოებამ, გარდა გურულ მხატვართა ახალი ნამუშევრებისა, ერთობ საინტერესო ცერემონიალი იხილა. საქმე ისაა, რომ გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირი შეუერთდა საქართველოს მხატვართა კავშირს და შესაბამისად რეგიონის მხატვართა კავშირის წევრ 34 მხატვარს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის წევრის დამადასტურებელი მოწმობა.

გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელ **თამაზ დარჩიას** თქმით, საქართველოს მოღვაწე მხატვრებს მომავალი გამოფენისათვის ექნებათ თავიანთი კატალოგი.

გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და გურულ მხატვრებს მიესალმნენ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი, მხატვარი **ავთანდილ თავართქილაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი **მარინა ჯაფარიძე,** გურიის გუბერნატორის მოადგილე **გია ებრალიძე.**

გამოფენა დალოცა და მხატვრებს შემოქმედებითი წარმატებები უსურვა **მამა ბასილმა.**

გამოფენა 20 მაისამდე გასტანს.

სს „ტრანსსერვისი“ გილოცავთ გიორგობას!

ტელ: 0(496) 275544; 0790 554455

მილოცვა

ცოჯანრთველოს ჭელოგეოგთა ლა მეცნიერთა თვალსაჩინო ჭრილოფეგრმანის ოზურგეთის რესპოლიტიკურ ორგანიზაციას №3 ცხბვეშვი ბეღის ვიმზრდელს, ჭრილოფეგრმანიანოლი ორგანიზაციის თავმჯდომარეს ნეთია ზოიძეს, მეცნიერ ჯელიშვილს ნინა ხომერიკის შეძენს, ვუსურვებთ ყოველივე ზეცას, ბედნიერ ბავშვობას ლა ლოვმზე მომვალს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +14+25	მზე, ღრუბელი +13+26	მზე, ღრუბელი +10+19	მცირე წვიმა +9+16	მზე, ღრუბელი +14+18	ღრუბელი +8+14	მზე, +14+18
6 მაისი	7 მაისი	8 მაისი	9 მაისი	10 მაისი	11 მაისი	12 მაისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა